სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისიის დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კომისიის ცნება

სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების კომისია ახორციელებს წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების განხილვას და მათზე გადაწყვეტილებების მიღებას.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის საფუძველი და ძირითადი პრინციპები

1. კომისიის საქმიანობის საფუძველია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ეს დებულება.
2. კომისიის წევრები მოქმედებენ კანონიერების, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
3. კომისია საქმიანობს საზოგადოების ჩართულობით და წევრთა როტაციის წესით.

მუხლი 3. ადმინისტრაციული წარმოების ენა

კომისიაში ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 4. კომისიის ადგილსამყოფელი

კომისიის ადგილსამყოფელია: ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90.

თავი II
კომისია და მისი უფლებამოსილებები

მუხლი 5. კომისიის მიზანი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან და სამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის საფუძველზე მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა.
2. სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება პროექტებში მათი ჩართვის გზით.
3. სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მოტივირება და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა, ქმედითი მხარდაჭერა.

მუხლი 6. კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისაგან;

ბ) სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელ პირებს ირჩევეს თავად სექტორი და დასამტკიცებლად წარუდგენენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს.

2. კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან:

ა) კომისიის თავმჯდომარე;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთვევაში).

3. კომისიის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი.
4. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 11-13 წევრის ოდენობით.

მუხლი 7. კომისიის ფუნქციონირების წესი

1. კომისიის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ¾.

3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება თუ პროექტს მხარს დაუჭერს კომისიის დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3.
4. კომისიის სხდომაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში.
5. კომისიის გამართულად ფუნქციონირებას, ადმინისტრირებას (ფართი, პროექტების გამრავლება, მიღებული გადაწყვეტილებების გასაჯაროება) უზრუნველყოფს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.
6. კომისიის სხდომის შესახებ 2 დღით ადრე ეცნობებათ კომისიის წევრებს.

მუხლი 8. კომისიის წევრის უფლება/ მოვალეობა

1. კომისიის წევრი **უფლებამოსილია**

ა) მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში;
ბ) შემოვიდეს ინიციატივით და დააყენოს საკითხები განსახილველად;
გ) ზეპირად ან წერილობით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება;
დ) ხმის უფლებით მონაწილეობდეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
ე) დაუბრკოლებლივ მიიღოს ინფორმაცია კომისიის საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში.

2. კომისიის წევრის **ვალდებულებაა**

ა) დაიცვას წინამდებარე დებულება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
ბ) გაუფრთხილდეს კომისიის ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას;
გ) არ გაახმაუროს კომისიის წევრობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
დ) რეგულარულად დაესწროს კომისიის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში;

მუხლი 9. კომისიის თავმჯდომარე

1. ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომებს;
2. კოორდინაციას უწევს კომისიის საქმიანობას;
3. უნაწილებს ფუნქციებს, აძლევს დავალებებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;
4. შემოდის ინიციატივით შესწორებები შეიტანოს პროექტების მიღების, განხილვის პროცედურებში და პროექტების შეფასების კრიტერიუმებში;
5. კომისიის სახელით ხელს აწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და რეკომენდაციებს;
6. საკრებულოს წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საკრებულოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით საკრებულოს წარუდგენს რიგგარეშე ანგარიშს.
7. უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავის უფლებამოსილების ფარგლებში.
8. წარმოადგენს კომისიას და მოქმედებს მისი სახელით ოფიციალური ურთიერთობისას.

მუხლი 10. კომისიის მუშაობა

1.კომისიის წევრები ვალდებულნი არიან:
ა)შეისწავლო საპროექტო წინადადებები;
ბ) საჭიროებისამებრ მოითხოვონ განმცხადებლისგან პროექტის გასამყარებლად დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის ფინანსური;
გ) შეისწავლოს საპროექტო წინადადებაში აღწერილი შემდეგი ინფორმაცია:
გ.ა) ბენეფიციართა შესახებ მონაცემები;
გ.ბ) ფინანსური და სტატისტიკური მონაცემები;
გ.გ) განმცხადებლის მიერ პროექტის განხორციელების რეალური შესაძლებლობა;
გ.დ) პროექტის რეალური საჭიროებები.
დ) პროექტის მიმდინარეობისას წინასწარი დაუწყების გარეშე განახორციელოს პროექტის მონიტორინგი და მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;
ე) შეაფასოს პროექტის შედეგები და დასკვნები:
ვ) გაწეული სამუშაოს შესახებ მოამზადოს ანგარიშები;
ზ) ანგარიშვალდებულია კომისიის თავმჯდომარის წინაშე;

მუხლი 11. კომისიის ანგარიშვალდებულება

კომისია ანგარიშვალდებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის და საკრებულოს წინაშე.

მუხლი 12. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება:
   ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;
   ბ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებისას;

გ) გარდაცვალებისას;
დ) გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებისას;
ე) როტაციის წესით ცვლილებისას;

თავი III

საპროექტო წინადადებების სფერო, მიღების წესი, შერჩევის პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები

მუხლი 13. საპროექტო წინადადებები

1. საპროექტო წინადადებები უნდა შემოიფარგლოს შემდეგი სამიზნე ჯგუფებითა და საკითხებით:
ა) სოციალურად დაუცველი ოჯახები.
ბ) შშმ, სმენა და მეტყველება დაქვეითებული და უსინათლო პირები.
გ) მრავალშვილიანი ოჯახები
დ) მარტოხელა მშობელი.
ე) მარტოხელა ხანდაზმული.
ვ) დედ-მამით ობოლი ბავშვები.
ზ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.
თ) იძულებით გადაადგილებიული პირები(დევნილები).
ი) კანონთან კონფლიქტში მყოფი პირები.
კ) სოციალური საწარმოების ხელშეწყობა.
ლ) საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.
მ) გენდერული თანასწორობა.
2. საპროექტო წინადადებები, რომლებიც არ იქნება მხარდაჭერილი კომისიის მიერ:
ა) პროექტი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამის იდენტურია;
ბ) შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს;
გ) გულისხმობს პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სამხედრო ჯგუფების მხარდაჭერას;
დ) პროექტის შესრულებით შეუძლებელია მიღებული შედეგების შეფასება.
3. კომისიის მხარდაჭერით შეუძლებელია:
ა) შეძენილ იქნას უძრავი ქონება პირადი ინტერესებისათვის;
ბ) ინდივიდუალური ან ჯგუფური გრძელვადიანი ღონისძიებები, რომელთა მონიტორინგი და შეფასება შეუძლებელია კომისიის კომპეტენციით და ამ დებულებით განსაზღვრული წესით.
გ) თანადაფინანსების თანხა არ უნდა იყოს მიმართული ხელფასების გასაცემად.

4. საპროექტო წინადადებები არ მიიღება:
ა) ერთი და იმავე ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში მეორედ შემოტანილი საპროექტო განაცხადი.
ბ) პროექტები, რომელთა ბიუჯეტში გაწერილი მერიისგან მოთხოვნილი თანხა აღემატება მერიის თანადაფინანსების (5000ლარი)თანხას.

მუხლი 14. საპროექტო წინადადებების მიღების წესი

1. საპროქტო წინადადებების მიღება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.
2. საპროექტო წინადადება შევსებული და წარდგენილი უნდა იქნეს (განმცხადებლის სტატუსის მიხედვით) დანართი N1 ან დანართი N2-ის შესაბამისად.
3. საპროექტო წინადადება განცხადებასთან ერთად უნდა დარეგისტრირდეს მერიის შესაბამის სამსახურში.
4. საპროექტო წინადადების ინიცირების უფლება აქვს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირისა), ასევე საინიციატივო ჯგუფს, რომელიც პროექტს განახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
5. საპროექტო წინადადების თანადაფინანსების შემთხვევაში მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს წლის განმავლობაში გამოყოფილი ასიგნების არაუმეტეს 10%-ს და განმცხადებლის თანადაფინანსების წილი განისაზღვროს წარმოდგენილი პროექტის ღირებულების არანაკლებ 20%-ისა.
6. კომისია უფლებამოსილია განსაზღვროს დასაფინანსებელი პროექტის ბიუჯეტის თანხა;
8. არასრულად წარმოდგენილი საპროექტო წინადადება არ განიხილება.

მუხლი 15. საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურები

1. საპროექტო წინადადების შემოსვლიდან 5 დღის ვადაში პროექტი ელექტრონული ფორმით გადაეცემა კომისიის წევრებს.
2. საპროექტო წინადადებას კომისიის წევრები შეისწავლიან და სათანადო დასკვნას ამზადებენ საპროექტო წინადადების მიღებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში.
3. საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/დაზუსტება.
4. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია კანონმდებლობის ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით შეისწავლოს მდგომარეობა.
5. კომისია საპროექტო წინადადებაზე დადებითი დასკვნას წარუდგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, პროგრამით გათვალისწინებული თანხიდან შესაბამისი პროექტის დასაფინანსებლად.

მუხლი 17. პროექტის განხორციელების და ანგარიშგების წესი

1. დამტკიცებული პროექტი უნდა განხორციელდეს მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში.
2. პროექტის თანადაფინანსებაზე დონორის უარის შემთხვევაში კომისიის მიერ თანხა არ გაიცემა.

მუხლი 18. პროექტის განხორციელების და ანგარიშსწორების წესი

1. კომისიის მიერ მხარდაჭერილი პროექტები უნდა ხორციელდებოდეს დანართ №1-ში ან დანართ №2-ში დადგენილი ცხრილი №1- ს (დროის გრაფიკი) და ცხრილი №2 -ს (ბიუჯეტი) შესაბამისად.
2. პროექტის განხორციელების ფარგლებში კომისიას 2-ჯერ უნდა წარედგინოს ანგარიში დანართი №3-ს და დანართი №4-ს შესაბამისად.
3. დაფინანსების მიმღები ვალდებულია დეტალურად წარუდგინოს დამფინანსებელს მიღებული თანხის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების, მიღება-ჩაბარების აქტების, საგადასახადო დოკუმენტაციის(სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშფაქტურა, შესყიდვის აქტი), გადახდის ქვითრების, საგადახდო დავალებების, და სხვა ფინანსური დოკუმენტების ავტორიზებული ქსეროასლები, ამასთან კომისია იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს მოითხოვოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის დედნები და უზრუნველყოს პროექტის განხორციელების ფინანსური მხარის მონიტორინგი.
4. ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში.

თავიIV

დასკვნითი დებულებანი

მუხლი18. კომისიის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. კომისიის დებულებას ამტკიცებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.
2. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

საპროექტო განაცხადის ფორმა

1. <u>ინფორმაცია პროექტის წარმომდგენის შესახებ</u>

- **პროექტის წარმომდგენი ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა**

- **ორგანიზაციის დასახელება** **საიდენტიფიკაციო კოდი**

- **ორგანიზაციის იურიდიული მისამართი** *(ქალაქი, ქუჩა, #)*

- **ორგანიზაციის ფაქტიური მისამართი** *(ქალაქი, ქუჩა, #)*

- **ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია**

ტელეფონი/ფაქსი	ელფოსტა	ვებგვერდი

- **ორგანიზაციის საკონტაქტო პირი**

სახელი/გვარი	
თანამდებობა	
ტელეფონი	
ელფოსტა	

- **ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ** *(ძირითადი საქმიანობის მოკლე აღწერა)*

- **ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტები**
  (საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)

პროექტის დასახელება	
განხორციელების პერიოდი	
პროექტის აღწერილობა	

2. <u>ინფორმაცია პროექტის შესახებ</u>

- **პროექტის სახელწოდება**

- **განხორციელების არეალი:**_____
- **პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა:**_____
  (ციფრებით და სიტყვიერად)
- **პროექტის მთლიანი ღირებულება:**_____
  (ციფრებით და სიტყვიერად)
- **მერიისგან მოთხოვნილი თანხა:**_____
  (ციფრებით და სიტყვიერად)
- **საკუთარი წილი:** _____
  (ციფრებით და სიტყვიერად)
- **განხორციელები ვადები:**_____**დან**_____**მდე**

- **პროექტის მიზნები და ამოცანები**
  **რისი მიღწევა გსურთ აღნიშნული პროექტით/ რა მიზანს ემსახურება თქვენი პროექტი. წარმოადგინეთ პროექტის მოკლე და მკაფიო აღწერილობა (არაუმეტეს 500 სიტყვისა)*

- **სამიზნე ჯგუფი**

**მიუთითეთ, კონკრეტულად რომელ მიზნობრივ ჯგუფზეა გათვლილი თქვენი პროექტი, მათი არსებული მდგომარეობის მოკლე ანალიზი*

- **პროექტის განხორციელების გზები**

- **ინფორმაცია თანადამფინანსებლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

**მიუთითეთ ინფორმაცია თანადამფინანსებლის მონაწილეობის ფორმის შესახებ (დაფინანსება, მომსახურება, მატერიალური ფასეულობის გადაცემა, იჯარა და სხვ.)*

3. <u>სამოქმედო გეგმა</u>

**აღწერეთ პროექტის განსახორციელებლად შემუშავებული სამოქმედო გეგმა (საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)*

ცხრილი N1

N	დაგეგმილი აქტივობის აღწერა	თვეები											
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1.													
2.													
3.	შუალედური ანგარიში												
4.													
5.	საბოლოო ანგარიში												

- **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

**მიუთითეთ განაცხადის ფორმის ამ ნაწილში აღწერეთ ის სავარაუდო ეფექტიანი მოსალოდნელი შედეგი, რაც მოყვება თქვენი პროექტის წარმატებით განხორციელებას, სასურველია მიუთითოთ, აგრეთვე რა გავლენა შეიძლება იქონიოს თქვენს მიერ განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე, საზოგადოებაზე და ა.შ.*

4. მონიტორინგი და შეფასება

ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ თუ როგორი იქნება კონკრეტულად თქვენი პროექტის განვითარებაზე თვალყურის დევნების (მონიტორინგის) მექანიზმი და პერიოდულობა.. მიუთითეთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებიც განსაზღვრავენ თქვენი პროექტის წარმატებას.

5. ფინანსური გაანგარიშება/ხარჯთაღრიცხვა

**პროექტის ერთიანი ხარჯთაღრიცხვა დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად (საჭიროებისამებრ, გაზარდეთ ველების რაოდენობა)*

ცხრილი N2

ბიუჯეტი						
ბიუჯეტის მუხლი	ერთეული (ცალი, მეტრი,კგ,თვე)	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფონდისგან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	ორგანიზაციის მიერ გაწეული თანადაფინანსება (ლარი)	სხვა წყაროების მიერ გაწეული თანადაფინანსებ ა (ლარი)
A. ხელფასები/ჰონორარები						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
B. აღჭურვილობა/ინვენტარი						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 Lari**
C. ადმინისტრაციული ხარჯები						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
4				0.00 ლარი		
5				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
D. მომსახურება						
1				0.00 ლარი		
2				0.00 ლარი		
3				0.00 ლარი		
ჯამი				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
ჯამი ყველა პუნქტისთვის				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**
საბანკო მომსახურება				0.00 ლარი		
პროექტის მთლიანი ღირებულება				**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**	**0.00 ლარი**

**ხელფასები/ჰონორარები - პროექტის მიმდინარეობისას სრული დატვირთვით მომუშავე თანამშრომელ(ებ)ის ხელფას(ებ)ი, კონკრეტული საჭიროებისთვის დაქირავებულ(ებ)ის ჰონორარ(ებ)ი*

**აღჭურვილობა/ინვენტარი - ტექნიკა და ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები, ხარჯვადი მასალები*

**ადმინისტრაციული ხარჯები - საკომუნიკაციო ხარჯი, ინტერნეტი, საკანცელარიო ხარჯი, ოფისის ქირა, კომუნალური გადასახადები, საწვავი, ფართის ქირა.*

*მომსახურება - ტრენინგი, გადამზადების კურსი, მასალის დაბეჭდვა, ტრანსპორტირება

**** გთხოვთ, ბიუჯეტში თანხები მიუთითოთ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;***

„ფინანსური გაანგარიშების/ხარჯთაღრიცხვის" პუნქტებში მითითებული თანხების ცვლილება, ერთმანეთთან მიმართებაში, დასაშვებია პროექტის მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 10% -ის ფარგლებში (გარდა ჰონორარებისა).

6. <u>დანართის სახით წარმოსადგენი დოკუმენტაცია</u>

- ✓ საბანკო რეკვიზიტები;
- ✓ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- ✓ გადასახადის გადამხდელის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. <u>შენიშვნა</u>

- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია არ ანაზღაურებს ხელფასისი ხარჯებს, დასაშვებია ჰონორარის სახით ხარჯის ანაზღაურება;
- ✓ თანადაფინანსების თანხის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე ანგარიშსწორება დაუშვებელია;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია, განმცხადებლისგან მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენა;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეულ ხარჯებს არ ანაზღაურებს.

წინამდებარე პროექტის წარმდგენი ორგანიზაცია _____ იღებს პასუხისმგებლობას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი ყველა ფინანსური/მატერიალური დახმარება გამოიყენოს მიზნობრივად.

_____ _____

ხელმოწერა *თარიღი*

სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების შესრულების

შინაარსობრივი ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება და წარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნას პროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში)

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სტატუსი

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

პროექტი -

პროექტის დაწყების თარიღი: _____

პროექტის დასრულების თარიღი: _____

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი: _____

მოთხოვნილი თანხის ოდენობა: _____

მიღებული დაფინანსების ოდენობა: _____

ანგარიშის წარმომდგენის პოზიცია: _____

სახელი, გვარი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი/ელ. ფოსტა: _____

შევსების თარიღი: _____

ანგარიშის წარმომდგენის ხელმოწერა: _____

- **რა იყო თქვენი პროექტის მიზანი/ამოცანები?**

- **მიაღწიეთ თუ არა პროექტის მიზანს/ამოცანებს?**

- იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/ამოცანები სრულად არ იქნა მიღწეული მიუთითეთ, რამ შეგიშალათ ხელი მიზნის/ამოცანების მიღწევაში?

- იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მიზანი/ამოცანები სრულად არ იქნა მიღწეული, რას შეცვლიდით პროექტში მიზნის მიღწევისათვის?

- რამდენად შესაბამება განხორციელებული პროექტი განაცხადში აღწერილს?

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, გთხოვთ მიუთითოთ რა ვერ განხორციელდა

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

- რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

- დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს? (პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

- 10 ბალიან სისტემის გამოყენებით რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენს პროექტს?

  1 2 3 4 5 6 7 8 9 10

- ვისთვის იყო სასარგებლო თქვენს მიერ განხორციელებული პროექტი?

- მიუთითეთ (შეძლებისდაგვარად) ბენეფიციარების რაოდენობა, ვინც მიიღო რაიმე სარგებელი თქვენს მიერ განხორციელებული პროექტიდან?

- მიუთითეთ (შეძლებისდაგვარად) ბენეფიციართა კატეგორიები

- **გაგრძელდება თუ არა თქვენი პროექტი მომავალში და თუ გაგრძელდება, რა პერიოდის განმავლობაში?**

- **პროექტის გაგრძელების შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ თუ რა სახეს მიიღებს ის.**

- **დაამყარეთ თუ არა კონტაქტი თქვენი საქმიანობის სფეროში აქტიურად მომუშავე ორგანიზაციებთან/კერძო პირებთან?**

კი **არა**

თუ კი, ჩამოთვალეთ ეს ორგანიზაციები/პირები:

- **გქონდათ თუ არა პროექტის განხორციელებისას კომისიასთან ურთიერთობა**

კი **არა**

თუ კი, რა ფორმით და რა საკითხებში:

- **დაგჭირდათ თუ არა კომისიის დახმარება პროექტის მსვლელობისას**

კი **არა**

თუკი, რაში მიიღეთ დახმარება

სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭრის მიზნით წარმოდგენილი პროექტების შესრულების

ფინანსური ანგარიშის ფორმა

(ამ ფორმის შევსება დაწარდგენა სავალდებულოა. ფორმა წარმოდგენილ უნდა იქნა სპროექტის მიმდინარეობის შუა პერიოდსა და დასრულებიდან 2 კვირის ვადაში)

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების განმახორციელებლის სტატუსი

მხარდაჭერილი საპროექტო წინადადების სათაური

პროექტი -

პროექტის დაწყების თარიღი: _____

პროექტის დასრულების თარიღი: _____

საპროექტო წინადადების ბიუჯეტი: _____

პროექტით მოთხოვნილი თანხის ოდენობა: _____

პროექტით მიღებული დაფინანსების ოდენობა: _____

ანგარიშის წარმომდგენი: _____

პოზიცია: _____

სახელი, გვარი: _____

მისამართი: _____

ტელეფონი/ელ. ფოსტა: _____

- პროექტის პირველ ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

- პროექტის პირველი ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

- პროექტის მეორე ეტაპზე მოთხოვნილი თანხის ოდენობა?

- პროექტის მეორე ეტაპის დასრულებისას დარჩენილი თანხის ოდენობა?

- თქვენს მიერ გადარიცხული თანხების და მომსახურების სახეების ჩამონათვალი, ტრანშების რაოდენობა:

- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____
- _____

- თუ რაიმე ვერ განხორციელდა დაგეგმილის მიხედვით, მიუთითეთ რა იყო ამის მიზეზი?

- რამდენად სწორად იყო შედგენილი პროექტის ბიუჯეტი?

- დაგჭირდათ თუ არა პროექტის ბიუჯეტში შესწორებების შეტანა პროექტის მსვლელობის დროს? (პროექტის ბიუჯეტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, მიუთითეთ შესწორებული პუნქტები, თანხის მითითებით)

- 10 ბალიან სისტემის გამოყენებით რამდენ ქულას მიანიჭებდით თქვენი პროექტის ბიჯეტს?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10

შევსების თარიღი: _____

ანგარიშის წარმომდგენის ხელმოწერა: _____